სახალხო გაზეთი

№ 588 სამშაბათი, 1 მაისი, 1912 წ. № 588

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი [illegible]-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება: დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible]. [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ[illegible] ,,[illegible] გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ახალი კლუბი
ოთხშაბათს, 2 მაისს 1912 წ.
ჩვეულებრივად
სინემატოგრაფი
ივანიცკაიასი.
დასაწყისი, სწორედ საათის ცხრის-ნახევარზე საღამოთი. (2.1192.1)

ყურადღება!
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
ყურადღება მიაქციონ
ახლად გამოსულ პაპიროსებს
„ირის",
25 ცალი 15 კ. ბ 10 ც.—6 კ.
საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
ყველგან იყიდება.
თამბაქ. ქარხანა
„ძმ. სეილანოვები".
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.33)

ქუთაისი
შუაგულ ქუთაისში, „მწვანე ბაზარში", ახლად გაიხსნა
ლამაზად გაკეთებული და მორთული
პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო
„ბრისტოლი". მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია საუკეთესო სამზარეულო, სადაც მზადდება ყოველ დღე ახალი გემრიელი საჭმელები.
ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.16)

ახალი გამოცემა ქართულ სიტყვ. კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა
ბესიკი
(ბესარიონ გაბაშვილი)
ფასი 1 მან.
იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. საწყობი: ოლგის მისახვევი, № 5 ბინა გ. ს. რცხილაძისა.
0—1235—3

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ქალთა ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე), 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—326)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 157)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლანოვის ქ. № 20. (წ.—1022—46).

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606"-
(წლ.—1018—258)

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,
ქუთაისში
ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საქონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კროსიკები და ყოველგვარი სოლჯაბო მოწყობილობა ახალი ვერცხლის (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილ ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფორტეპები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-პრეცხავები (პარომშიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული შპალიერი თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა ,,ტორპედოსი''**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. [illegible]236.1)

შეიძლება დაკვეთა:
ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა
წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,
(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.
ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.
წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოლოლოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქუთაისში
ძმ. ე. და პ. საკაშვილები.
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი
რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.
და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, ,,ჟესტი'', სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.
ფასები ზომიერია. (25 1195.15)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაზიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—21)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 291)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—149)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—27)

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.26)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.101).

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, № 23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ბოგოლვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ.
გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყოვ.-დღე 12-1 ს. 4—5 საათ.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.
მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.
რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. 10—11 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—1).

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10--2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—83)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება **პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას:
სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.15

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთს" ბევრი რამ დასაძრახისი აღმოუჩენია ჩვენს პრესაში. რამდენად მომწიფებული ყოფილა იგი პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისთვის, ამას მკითხველი ქვემოდ მოყვანილ ამონაწერიდანაც დაინახავს. საკითხი ქართულ ეკლესიას ეხება.

,,ვსთქვათ ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგე,—სწერს „ბათუმის გაზეთი''—გინდ კეტით და გინდ მუშტით მიბეგვეს. თუ ჩვენ ასეთ საქციელის წინააღმდეგ ხმა ამოვიღეთ, ,,სახალხო გაზეთი'' გაკვირვებით გვეტყვის: ორჭოფულად იქცევით, თქვენს მოქმედებაში მთლიანობა არ არის, რადგან თუ მიბეგვილის მსოფლ მხედველობას არ იცნობთ და არ იცავთ, მაშინ რად ეწინააღმდეგებით მის მიბეგვას და თუ ეწინააღმდეგებით ასეთს მის შეურაცმყოფელ მოქმედებას, მაშინ მიბეგვილის მსოფლმხედველობას რად არ ეთანხმებით?''.

ასე „პოლიტიკოსობენ" ჩვენს კუთხეულ დროს. მაგრამ ალბად „ბათუმის გაზეთმა" თითონაც დაინახა, რომ „მიბეგვილ-მბეგველთა" ფილოსოფიით შორს ვერ წავიდოდა და ცოტა განმარტებაც მოისურვა.

,,რა სთქვა თავისი სიტყვით გვეგეკორმა,--განაგრძობს ,,ბათუმის გაზეთი''. როცა მას საქართველოს ეკლესიის დევნის ფაქტები სათათბიროს ტრიბუნაზე გამოჰქონდა?.. ამით ის იცავდა მას, რომ **თითოეული ეკლესია ისე მოეწყოს, როგორც ეს მორწმუნეთ სურთ''.**

არ შეიძლება გაგვაგებინოთ, ბრძენო პუბლიცისტებო, რას ნიშნავს ეს „თითოეული ეკლესია ისე მოეწყოს, როგორც ეს მორწმუნეთ ჰსურთ". გახსენით ფრჩხილები და თქვენი ულოლიკობისა თქვენვე შეგრცხვებათ.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

კანაგრძობენ საზოგადო კამათს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვაზე.

ლიახნიცკი მაგალითებით ამტკიცებს, თან და თან გლეხის მიწა კონცენტრაციას განიცდისო: ყოველ წლიდ გლეხების კუთვნილი მიწა უფრო მეტ-მეტი იყიდებაო. მოლაპარაკეს შეაქვს მოსაზრება: სახაზინო მიწები იჯარით მხოლოდ გაჭირვებულ გლეხებსა და ისეთ მოქალაქეებს მიეცით, რომელნიც გლეხებში არ განირჩევიანო.

როზანოვი სარატოვის გუბერნიის საერობო კრების სახელით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხებს: ადგილობრივ მკვიდრთ ყურს არ უგდებენ მინისტრები. ხუთი წელიწადია მესამე სათათბირო არსებობს და აქამდე უნდა დარწმუნებულიყო, რომ მთავრობა მიწად მოწყობის საქმეს კი არ მისდევს, მიწათ-მომწყობ პოლიტიკას აწარმოებსო.

სალთელიანი. ოთხის წლის წინად აღვნიშნე საჭიროება კავკასიის მცხოვრებთა მიწის ნაკლებლობის შევსებისა. უწყებას დღევანდამდე ყური მოუყრუებია, სათათბიროც განგებ ივიწყებს ამას. მოლაპარაკე ეხება კავკასიაში მიწის ნაკლებლობას და ადგილობრივ მთავრობის მოქმედებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.

პეტროვი მე-3. ოპოზიციის პროტესტი მთავრობის წინააღმდეგ უყურადღებოდ რჩება ყოველთვის მესამე სათათბიროში. მცხოვრებთა მდგომარეობა ამ ხუთის წლის განმავლობაში არამც თუ არ გაუმჯობესდა, გაუარესდა კიდეც: ხალხი მიწას მოითხოვს, მთავრობა და სათათბირო კი გადასახადს უმატებს და უმატებს. გლეხობა იმნაირსავე მდგომარეობაშია, რანაირშიაც 1905-1906 წელს ყოფილა.

ეპისკოპოსი მიტროფანე ბელორუსთა მდგომარეობას ეხება და აღნიშნავს „ხუტორების" სარგებლობას. ხალხი თან და თან შორდება დუქანს, ლოთობას გაეჩვეულა და ამიტომ იმის სახელს უნდა ვლოცულობდეთ, ვინც ეს რეფორმა მოახდინაო (მემარჯვენეთა ტაში და ყვირილია: „ვაშა!") რასაკვირველია, ეს ამბავი მემარცხენეებს ვერაფრად ეჭაშნიკებათ (მემარჯვენეთა ტაში).

კელეპოვსკი ეხება მიწად-მომწყობ რეფორმის განხორციელებას ხერსონის გუბერნიაში.

წინად რეფორმას მოქადაგეთა გავლენა უწყობდა ხელსა, ეხლა კი საქმე გამობრუნდა, გლეხობა მთავრობას მტრულად აღარ ეკიდება, ამიტომ ჩვენი მოვალეობაა 9 ნოემბრის რეფორმის განხორციელებას ხელი შეუწყოთ.

მოტოვილოვიც სიხარულით ეგებება მიწად-მომწყობის რეფორმასა.

ბარიბინი. უწყება ზოგჯერ „ხუტორების" გულისათვის მცხოვრებთა ინტერესებს ანგარიშს არ უწევსო. მაგალითად ასტრახანის გუბერნიაში გლეხებს მიწა არ მიჰყიდეს,—„სახუტოროდ" გვინდაო.

ბაზილევიჩს სასურველად მიაჩნია რეფორმა, მაგრამ აღნიშნავს: ამ საქმეში მავნებელია ადმინისტრაციის ძალადობაო.

იანუშკევიჩი უსაყვედურებს საუფლისწულო უწყებას: გლეხებს არაფერს აძლევს, ებრაელებს კი მიჰყიდის ხოლმე ძვირფასს ტყეებსაო.

სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვის შვიდი მუხლი, მერთხეს გარდა, კომისიას აქვს ნავარაუდევი. მერთხე მუხლი ეხება მიწათმომწყობ კომისიების შესანახ ხარჯსა.

მიწათმომწყობ სამმართველოს გამგის თანაშემწე რიტიხი მოითხოვს, რომ ამ მუხლში ნახსენები 46 ათასი მანეთი საკანცელარიო ხარჯის დასაფარავად გადაიდოს.

მომხსენებელი ოპოჩინინი წინააღმდეგია ამ შესწორებისა.

შესწორება მიიღეს. სათათბირო გადადის სამხედრო პირთა და მათ ოჯახობისათვის ახალ საპენსიო წესდების კანონ-პროექტის განხილვაზე. განსახილველია პირველი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმათ ვისაც წესდება ეხება.

კაპუსტინი და კოვალენკო პირველის შესწორებას ემხრობა და მოითხოვს: წესდება უნდა გავრცელდეს

სამხედრო უწყების ყველა მსახურზე.

ბაბიანსკი კადეტების სახელით მოითხოვს, წესდების სამოქმედო ფარგლი შეიზღუდოსო.

პირველი მუხლი კოვალენკო პირველის შესწორებით მიიღეს.

მეორე და მესამე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მეოთხე მუხლი **ფინანსთა მინისტრის თანაშ. ვებერის** შესწორებით მიიღეს: პენსია არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში შვიდი ათას მანეთს.

მეხუთე მუხლი ეხება იმ პირთ, რომელთაც პენსია მიეცემათ არა ამ კანონის ძალით, არამედ უმაღლესის ბძანებითა.

ლერხე. ახალ საპენსიო კანონის გამოცემის დროს, უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება ხალხზე ნაკლებ გავრცელდეს საზოგადო კანონი. ამიტომ სასურველი არ არის კომისიისა და მთავრობის მოსაზრება: იმ პირთა სია შევადგინოთ, რომელთაც უმაღლესის ბძანების მიხედვით უნდა დაენიშნოთ პენსიაო. მოლაპარაკე მოითხოვს: სამხედრო დადგენილებათა კრებულის ახლანდელი მუხლი ხელ-უხლებლად დავტოვეთო.

ბაბიანსკი მეხუთე მუხლის სრულ გამორიცხვას მოითხოვს.

მეხუთე მუხლი ლერხეს შესწორებით მიიღეს.

6—15 მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

კამათი შესწყვიტეს. კითხულობენ სოციალ-დემოკრატების სასწრაფო შეკითხვას შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. შემკითხველნი პეტერბურგის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებას სჩივიან; ადმინისტრაციას გაზეთი „პრავდა“ და „ჟივოე დელო“ სტამბიდან არ გამოუშვია.

პოკროვსკი მე-2 მხარს უჭერს სწრაფად განხილვის საჭიროებას. მთავრობამ მუშათა გაზეთების დევნაში ყველაფერს გადააჭარბა. რედაქტორები პოლიციებში არიან დამწყვდეულნი, გაზეთებს აჯარიმებენ და მიაქვთ. 28 აპრილს საღამოს, პოლიციამ წაიღო „პრავდას“ ნომრები, წაიღო რედაქციის კასა, ხელის მომწერთა სია და მიწერ-მოწერა გაზეთისა. მუშების ინტერესებს სათათბირო სრულიად ყურადღებას არ აქცევს და მუშათა მოძრაობის ცეცხლის გაღვივებას ხელს უწყობსო. იმედია, პეტერბურგის მუშები საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს ჯეროვნად გადაიხდიან და მოითხოვენ სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას, სიტყვისა და ყრილობის განუსაზღვრელ უფლებასა.

ზამისლოვსკი შეკითხვის წინააღმდეგია. „პრავდა“, „ჟივოე სლოვო“, „ზვეზდას“ მემკვიდრეებია, რომელიც მთავრობამ აკრძალაო. თუ რასმე უსაყვედურებთ მთავრობას, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლიან, რატომ აქამდე არ მოიქცა მთავრობა ასე.

გეგეჭკორი მოითხოვს შეკითხვის სწრაფად განხილვას. ყველაფერი, რითაც შეიძლება უკანონობის დამტკიცება, თვალწინ გიდგათო. შემდეგ გეგეჭკორი კითხულობს გაზეთ „დვუხგლავი ორიოლს“, სადაც ცხადად მოუწოდებენ ებრაელთა დასარბევად. ხალხს ბოროტ აზრებს აწვეთებენ ყურში, საზოგადოება კი ვერ ებრძვის ამას, რადგანაც მთავრობის რეპრესიები მზად არისო. თუ სათათბირომ უარჰყო სწრაფად განხილვის საჭიროება, ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ სრულიად არ აქცევს ყურადღებას მუშათა ინტერესებს.

თ-დი თენიშევი შეკითხვა დაუსაბუთებელია, სათათბიროს ღირსებას დაამცირებს მისი მიღებაო.

გეგეჭკორი მეორედ ლაპარაკობს სწრაფად განხილვის საჭიროების გამო და უპასუხებს თ-დ თენიშევსა და ზამისლოვსკის.

112 ხმით 60 წინააღმდეგ სწრაფად განხილვის საჭიროება უარჰყვეს. შეკითხვა კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდა.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც კასპი-ვოლგაზე მებადურობის დებულებანი შესცვალეს და წყნარ ოკეანის სანაპიროებზე რუსეთის ქვეშევრდომთ ნება მიეცათ იჯარით აღებულ ადგილებში მებადურობა ხელსაწყო და მისი შესანახი ფარგლებში უბაჟოდ მოაწყონ.

უმაღლეს ტიპის პირველ დაწყებით სკოლის კანონ-პროექტზე გადადიან.

მომხსენებელი შვარცი. ამ პროექტის თაობაზე სათათბირო იმ აზრისა იყო რომ ამ საშუალო სასწავლებელში პირდაპირი კავშირ ჰქონდა. იგი კომისიის აზრს ესარჩლება.

დონეცკის აზრით, ამ ტიპის სკოლები სრულებით დამთავრებულ ცოდნას იძლევიან და მათი კავშირი საშუალო სკოლასთან არ გამოდგება, მით უმეტეს, რომ საშუალო სკოლა უმაღლესისათვის ამზადებს. სათათბიროს აზრს რომ გაჰყვეთ ეს დაბალი სკოლა გარდიქცევა საშუალო სკოლად.

ვასილიევის აზრით ამ სკოლებისათვის სათათბიროს მიერ განსაზღვრული შტატები უნდა დადასტურდეს.

საბჭომ მუხლობრივ განიხილა ეს სასკოლო პროექტი და უკამათოდ მიიღო პირველი სამი მუხლი.

ენგელგარდი წინადადებას იძლევა მესამე მუხლიდან გამოსტოვონ ის ადგილი, რომელიც მზრუნველს ავალებს, რომ როდესაც სკოლის გახსნის ნებართვაზე უარს ეტყვის, საამისო მიზეზებიც დაასახელოს.

მისი წინადადება უარჰყვეს.

მცირე ხნით კრება შესწყვიტეს. განახლების შემდეგ **პიხნოს** 52 წევრის განცხადება შეაქვს: სანამ სათათბიროში ხოლმსის გუბერნიის თაობაზე პროექტს შეიტანდნენ, საბჭომ შეადგინოს 15 წევრისაგან შემდგარი კომისია ამ საქმის წინასწარ გასარკვევად, რათა ამ პროექტის განხილვა უფრო დაჩქარდეს.

ეს წინადადება ერთხმად მიიღეს. კომისიის წევრებს 2 მაისს აირჩევენ.

ტაგანცევის წინადადებით დაადგინეს: სახელმწიფო გზებზე და დასახიჩრებულ მუშათა შესახებ კანონ-პროექტი გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს მუშათა სხვა კანონ-პროექტებიც.

შემდეგ ისევ პირველ დაწყებულ სკოლის პროექტს დაუბრუნდნენ და კომისიის რედაქციით მიიღეს 9—38 მუხლები.

მე-47 მუხლმა კამათი გამოიწვია. ამ მუხლში ნათქვამია, რომ უმაღლეს ტიპის პირველ დაწყებით სკოლისა შეიძლება საშუალო სასწავლებელში გადასვლაო.

საბჭოს კომისია ამ მუხლის გამორიცხვას თხოულობს.

შემდეგი სხდომა 30 აპრილს მოხდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალაქის გამგეობას** აზრად აქვს, მომავალ კვირიდან ქალაქის საბჭოს კრებები კვირაში ორჯელ დანიშნოს, ორშაბათობითა და ხუთშაბათობითა, რადგანაც განსახილველ საკითხთა რიცხვი ამ ჟამად ბევრია.

◆ ქალაქის გამგეობასთან **მატერიალურ განყოფილების** დაარსების თაობაზე, 4 მაისს შეერთებილი კრება ექმნებათ ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს სარევიზიო, საფინანსო და სამეურნეო კომისიების წევრებს.

◆ **ახალი ბანკი.** ტფ. ვაჭართა ერთს ნაწილს განზრახვა აქვს, ტფილისში ვაჭართა ბანკი დააარსოს. როგორც გავიგეთ, ძმ. ბოზარჯიანცებს აზრად აქვთ, ამ საქმისთვის 100,000 მან. გადასდონო.

◆ **შეიპყრეს** სიდონიევის ქუჩაზე მცხოვრები გეორგ სოსიას ძე მანუჩაროვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს სახლში სხვა და სხვა იარაღი აღმოაჩნდა: მაუზერის რევოლვერი, სანადირო თოფი და მრავალი პატრონა.

◆ **ქალაქის გამგეობის კრებები** ამას იქით კვირაში ოთხჯერ მოხდება. ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით ნაშუადღევის 1 1/2 საათზე, სამშაბათობით კი საღამოს 8 საათზე.

◆ **თავი მოიკლა** საწამლავით თევდორე ვასილის ძე რესნენკომ, რომელიც სულით ავადმყოფი იყო და სახლში დედმამასთან სცხოვრობდა.

◆ 28 აპრილს მაძებარ პოლიციის აგენტებმა შამხორის ქუჩაზე სახლში № 20 **შეიპყრეს** გარეგინ თარხანოვი. გამოირკვა, რომ თარხანოვი ტფილისის მცხოვრებ ნაზარიანცის მოკვლისათვის სამს წელიწადს ტფ. ციხეში მჯდარა და შემდეგ ადმინისტრატიულის წესით გადაუსახლებიათ, საიდანაც არა ერთხელ გამოპარულა.

◆ **ჟურნალი „ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადული“-ს მორიგი ნომრები-მცირე წლოვანთათვის № 8 და მოზრდილთათვის-№ 4.

◆ **მხატვარი კოტე ქავთარაძე** ერთ კვირაზე მეტია, რაც ბათომში იმყოფება. იგი განზრახულ ალბომისათვის მასალას აგროვებს. სასურველია რომ ტიპების შეკრებაში დახმარება გაუწიოს ადგილობრივმა ინტელიგენციამ. ეს განმარტება მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც მხატვარი გვაცნობებს, თურმე ქალების დახატვის ნებას არ აძლევენ. ნუ თუ ასეთ კარჩაკეტილობას ბოლო არ უნდა მოეღოს?

◆ შეიპყრეს ერევნის მცხოვრები ცნობილი ქურდი-ჯიბგირი ხაჩატურ არაქელას ძე ვართანოვი.

◆ 28 აპრილს სურამის ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითი სქესისა, დაახლოვებით 5 თვისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ 27 აპრილს შეიპყრეს გეორგ ასლანას ძე სუკიასოვი, რომელიც გორში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და თავის ნებით ტფილისში ჩამოვიდა,

◆ 28 აპრილს ტფილისში შეიპყრეს 28 უპასპორტო, 29 აპრილს—35.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სამკურნალო საზოგადოების** წლიურ. კრებამ სხვათა შორის. თანამდებობის პირნი აირჩია, საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ვ. ლუნკევიჩი, მის ამხანაგად—მ. ნ. ვესელოვზოროვი, პირველ მდივნად—ა. ა. მუხარინსკი, მეორე მდივნად—ა. ა. ნოვიცკი, ხაზინადრად—ი. გ. მელიქოვი და ბიბლიოთეკარად ნ. ზ. უშაკოვი. საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა (4.130 მან.) კრებამ დაამტკიცა.

◆ 5 მაისს საღამოს 8 საათზე საადგილ-მამულო კომისიაში (ბელინსკის ქუჩა № 2) დანიშნულია კრება „**იმფუზორიის მიწის დამუშავების**“ მეთაურთა ქართველ აქციონერთა ამხანაგობის მოსაწყობად. წაკითხული იქნება მოხსენება ახალციხის ინფუზორიის მიწის (კიშელგურის) გამომკვლევ კომისიისა. ამ საქმეში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

ქუთაისი

◆ **მომხმარებელი საზოგადოება.** შაბათს, 28 აპრილს, შესდგა ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების საზოგადო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ზ. მიქელაძე. კოოპერაციის მნიშვნელობაზე ბ-ნ ი. გაბილაიას მოხსენების შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. წამოაყენეს კანდიდატები, რომელთა შორის ფარულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: **გამგეობაში—ს. რობაქიძე, იასონ გაბილაია, ფილიპე ხელაძე, ონ. ქუთათელაძე და ცქიტიშვილი,** ხოლო მათ კანდიდატებად: **ი. თევზაძე, შარაბაძე, გ. ქორიძე, ტ. ცაგარელი და ი. გორგაძე. ზედამხედველ საბჭოს** წევრებად აირჩიეს: **ი. ი. ოცხელი, ტრ. ჯაფარიძე,** თ-დი **ზ. მიქელაძე, ა. სხივიშვილი, თომა ჭეიშვილი და ალმ. კიკნაძე** (კანდიდატად). კრებამ დაადგინა: ხაზინადარს ჩამოერთვას გირაოთ 500 მანეთი (ხაზინადართან ფული რჩება არა უმეტეს ორი დღისა), ხოლო მოვაჭრეებს იმდენი, რამდენიც ექნება საზოგადოებას საწარმოვო თანხა.

◆ 2 მაისს, საღამოს 8 საათზე სახალხო უნივერსიტეტი მართავს ქალაქის თეატრში **ლექციას** კოოპერაციაზე, წაიკითხავს **ი. გაბილაია.**

◆ „**კოოპერაციის სისტემა**“. როგორც ვიცით, „კოოპერაციის“ რედაქციამ გამოაცხადა მარტის პირველ რიცხვებში ცნობილ კოოპერატორის ნ. პ. გიბნერის „კოოპერაციის სისტემაზე“ ხელის მოწერა. ხელის მოწერის გაგრძელება განზრახული იყო 20 მარტამდე, მაგრამ რადგანაც ბ-ნ გაბილაიას რუსეთში მოუხდა იმ დროებში წასვლა და დამზადებული განცხადებების დაგზავნა ვერ მოესწრო თავის დროზე აგენტებთან, ამის გამო აღნიშნულ წიგნზე ხელის მოწერა გაგრძელდება 20 მაისამდე. წიგნი გამოვა ქართულს ენაზე ავტორის წინასიტყვაობით და ორის დამატებით: 1) „კოოპერაციის წარსული, აწმყო და მომავალი“ (25 სურათით) და 2) გამოჩენილ კოოპერატორ-ეკონომისტებისა და საზოგადო მოღვაწეთა აზრი კოოპერაციაზე (300 გვ.) ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ 60 კაპ. საჭიროა აგენტები. პროვინციებში მისამართი: Кутаисъ груз. журналу „кооперація“. ძველმა აგენტებმა დაუყონებლივ უნდა გამოგზავნონ ანგარიში და ხელის მომწერლების სია.

ჩოხატაური

◆ ამ დღეებში გაჩხრიკეს სილიბ. თავართქილაძის წიგნის მაღაზია და სამკითხველო და მასწავლებელი პარმენ ჭანიშვილი.

ოზურგეთი.

◆ ამ ერთი კვირის წინედ შეიპყრეს თევდორე ქარცივაძე, რომელიც გადასახლებული იყო ხუთის წლით.

◆ შაბათს, 28 აპრილს, შეიპყრეს კერძო მასწავლებელი გიორგი ბერეჟიანი.

სოფლად.

◆ სამშაბათს დილით თორმეტ საათზე მდ. ყვირილაში იპოვეს დამხრჩვალი კაცი, რომელსაც ამოაჩნდა ჯიბეში რევოლვერი მაუზერის სისტემისა ათი პატრონით. იგი აღმოჩნდა ცნობილი **ყაჩაღი ლაბაძის პარტიისა შალამბერიძე,** რომელმაც ამ ოთხი წლის წინად თავისი მამა მოჰკლა და ყაჩაღად იყო გავარდნილი. დანარჩენ ყაჩაღების მოსაძებნად სასტიკი ზომებია მიღებული. ვიცე გუბერნატორი ქუთაისისა ამ ჟამად ყვირილაში იმყოფება.

◆ **ხიდისთავი.** შეიპყრეს სოფ. სკოლის მასწავლებელი ემილიანე ლომთათიძე.

ქალი-სიმბოლო

აი, ის ტაძარი ვისი აშენებულია, ამაყად რომ ამართულა მაღლობზე და ამაყადვე გადმოსცქერის ბარსა?

— თამარ მეფეს აუშენებია, გამარჯვება უდღესასწაულნია და ღვთის სამადლობელი მაგით გადაუხდია.

— ის ციხის ნანგრევი რაღა დროისა უნდა იყვეს, როდის აუშენებიათ ნეტა?

— მაგ ციხის ამბავი თვით ხალხს უნდა ჰკითხო, იგი ბევრს მწარე ამბავს მოგვითხრობს, ბევრს ლეგენდას მოგახსენებს, საქართველო როგორ ამაღლებულა, როგორ დაცემულა და კვლავ ფეხზე [illegible].

— მაგრამ ვისი აშენებულია, ვინ მისცა ხალხს სალეგენდო მასალა?

— ამბობენ, თამარ მეფეს აუშენებია, საქართველოსათვის ზრუნვაში რომ ატარებდა დროსაო.

და ასე დაუსრულებლივ.

საითაც უნდა მიიხედოთ, რა მხარესაც უნდა გადახედოთ, რა კუთხის ხალხსაც უნდა ჰკითხოთ, ყველგან ერთსა და იმავეს გაიგონებთ, ყველგან ერთი სახელი აკერიათ ენაზე, ერთნაირად ადიდებენ დიდებულ ქალსა, შესანიშნავ პიროვნებასა.

— ის კი გაგიგია, რა თქმულება არსებობს ხალხში აი იმ გორას შესახებ?

— არა, იქნება ისიც თამარ მეფეს შეეხება?

— დიაღ, ეს გორაკიო, ამბობს ხალხი, თამარ მეფის წყალობით გაჩენილაო. თამარ მეფეს თურმე თავისის ოქროს ქოშით მიწა დაუყრია აქა. თამარისათვის მიუბძავს ჯარსა და ყველას თითო მუჭა მიწა მიუყრია იმ ადგილისათვის. და აი, ხომ ხედავ, რამოდენა გორა გაჩენილა...

— თამარი, თამარ მეფე, თამარის ციხე, თამარის კოშკი, თამარის ლაშქარი, დროშა... ყველაფერი თამარისა.

რა ამბავია?

მართლაც რა ამბავია?

როგორ გაითქვა სახელი ამ მეფემ, როგორ დაიდგა ხელთუქმნელი ძეგლი ყოველი ქართველის გულში, რად იხსენიებს სევდა-მორეული ქართველი მის სახელსა ხოლმე „სულს რად აფიქრებს“?

ჰკითხეთ ხალხსა, ერის გულში ჩაიხედეთ, იქ ამოიკითხეთ საიდუმლოება და მიზეზი ამისთანა სიყვარულისა, თაყვანისცემისა.

„თამარ მეფე ღმერთს უყვარდაო“, „დიდუბეში იქორწინა, სადაც რო საყდარი არიო“—ამბობს ხალხი.

მართალიც არის.

იგი სიმბოლოა საქართველოს ერთობისა.

თამარ მეფე—საგანი ჩახრუხაძის მუზისა, შოთას უკვდავი ქმნილებისა! განა სულ ერთი არ არის, შოთამ მართლა უძღვნა თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ თამარსა? განა არ კმარა, რომ ერმა ასე იფიქრა? ან და დიდებულს მგოსანს სხვა ტოლს ვისღა გამოუქმნიდა ერის სული, სხვას ვის გახდიდა რუსთველის თაყვანისცემის ღირსადა?

პირველი მისი სიმბოლოა.

თათბირი

ამერიკულ ვაზის კულტურის მცოდნე პირთა ქ. თელავში.

(დასასრული *)

23 აპრილი.

მეორე დღეს თათბირი საზოგადო საკრებულოში მოხდა, თათბირი მეტად აინტერესებს საზოგადოებას, უფრო მეტი ხალხი ესწრობა.

თავმჯდომარეობს ვ. ი. რცხილაძე, რომელმაც 10 1/2 საათზე კრება

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 587.

ძველი ჰანგები და ახალი ფორმა ჩვენს მწერლობაში

(შემდეგი *)

2.

შალვა დადიანის ეტიუდები და მათი მნიშვნელობა.

ამ ხანად **მე მხოლოდ დადიანის ნაწერებს შევეხები.** დავიწყებ თავიდან, განმათავისუფლებელი მოძრაობის დროიდან, როცა შალვა დადიანი პირველად გამოვიდა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე*). შალვა დადიანმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ეტიუდებით დაიწყო. მისი მინიატიურების უმთავრესი აზრი შემდეგია: დადიანი ფეხდაფეხ მიჰყვება განმათავისუფლებელ მოძრაობას, გვიხატავს ცხოვრების უტყუარ სურათებს. ამ დროის მისი მწერლობა უფრო პუბლიცისტური ხასიათისაა, ხოლო იგი მშვენიერ ფორმაშია ჩამოსხმული. რამდენად წვრილ დეკადენტ-მესიმბოლოეთა ნაწარმოებთ ნაძალადეობა, დაუჯდორობა, ხელოვნურად აშლილ-გამოწვეული გრძნობები ეტყობა, იმდენად გარკვეული და სასტიკად ჩამოყალიბებულია დადიანის სამწერლო სახე. მან თავიდანვე აილო ერთგვარი გარკვეული და შეგნებული ტონი და მას ადგია დღემდის მტკიცედ და შეურყევლად.

დადიანის ეტიუდები გაფანტულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი მოთავსებულია გაზეთ „ცნობ. ფურ“. და „შრომის“ სურათებიან დამატებებში**). ისეთს დროს გამოვიდა შალვა დადიანი სამწერლო ასპარეზზე, როცა ირგვლივ ყოველივე და ყველაფერი ღრმა ძილისაგან ერკვეოდა. ჯერ ისევ „სიბნელე“ იყო. მხოლოდ შორს სადღაც ვით ზღვის კანდელი **მოკიაფობდა რაღაც სინათლე“.**

„**აგერ სინათლე!** ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს სიზმარია? ხომ არ ვგიჟდები? თუ მაცდურ ფერიათ წარმიტაცეს და სიზმარში სამოთხის კარს უნდათ მიმაგდონ, რომ სიფხიზლეში გამოღვიძებულს კვლავ უფროორე გული მომიწყლან“.

ამას მოსდევს მეორე ეტიუდი: „მონა, ყმა და მუშა“, სადაც ავტორი მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს ადამიანთა შორის სოციალურ-ეკონომიურ უთანასწორობის ისტორიას, როგორ დაიბადა სუსტი, ძლიერი, მაძღარი და მშიერი. ამ საკითხების შესასწავლ-გამოსარკვევად მეცნიერების მთელი სისტემაც არსებობს, მაგრამ დადიანი დროისა და მოთხოვნილების მიხედვით სრულის გასაგებით და მშვენიერის ენით მოგვითხრობს ამ ისტორიას. ასეთია თითქმის ყველა ეტიუდი, ამ დროს დაწერილი.

საყურადღებოა დადიანის ეტიუდი „დღიური“. დღიური თვით ადამიანის არსებაა, მისი სული და გული, მისი გონება. მასში აღუნიშნავს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გიმნაზიელს თავისი „მეს“ დაბადება, მისი წარმოშობა. სტუდენტობის პირველ ხანაში იგი ცოტა ზრდილა, განვითარებულა, მაგრამ თან და თან მიყრუებულა. სახელმწიფო ეგზამენისათვის მზადების დროს, უნივერსიტეტიდან გამოსვლისას მოულოდნელად წასწყდომია ამ თავის დღიურს. ისევ გაუღვიძნია მასში ადამიანურ გრძნობას, ცოცხალი სული კიდევ შერჩენია, მაგრამ რა გადახედა თავის წარსულს, ნახა რომ დღიური სრულებით გაყვითლებულიყო. „ეს ხავსია ჩემის სულისაო“ და „სულში საშინელი სიცივე იგრძნო“. მოაგონდა სიჭაბუკის სიმბოლიური „ზეთის ხილის შტო“, სისხლი სდუღს, შორიდან მოსჩანს **დიდებული ცისკარი.** აქ კი... ყური დავუგდე. არა, არავინ არ აკაკუნებს (მოესმის თავისი საკუთარი შინაგანი ხმა), მაგრამ... მაგრამ **სახელმწიფო ეგზამენი კარებზეა მომდგარი.** თვალ წინ წარმოუდგა „კუჭის საკითხი“, „მოესმის ქალის აბრეშუმის კაბის შრიალი“. სტუდენტს მოაგონდება ადამიანის სიმხეცე, მერე „მხეცობიდან გამოსული პირუტყვობა“, შემდეგ „პირუტყვობიდან—თავდავიწყებული ველური, ველური სერთუკსა და გახამებულს პერანგში“ და ბოლოს წარმოიდგენს, რომ „ასეთი ადამიანი ხვალ ქვეყნის საპატიო მოქალაქედ უნდა გადაიქცეს“. არ გინდა დაიჯერო, მკითხველო, რომ მართლაც ასეთივე ველურები ვართ? შეიძლება, მაგრამ ამით იმას დაამტკიცებ მხოლოდ, რომ გინდა შენში და შენს გარშემო რიგიანი ადამიანი დაინახო. ესეც კარგია! მხოლოდ ასეთის მდგომარეობის შეგნების შემდეგ იგრძნობს კაცი „სულის საშინელ სიცივეს“ და სიბნელეს და მოისურვებს, ეცდება შემდეგში მაინც გაითბოს იგი და გააშუქოს მაცოცხლებელის სინათლის ძალით, რომ გახდეს „აღმგებელი ახალსა და სრულს ყაიდაზე სამთელქვეყნო, მსოფლიო, სანეტარო ცხოვრებისა“. მართალია ჩვენი ახალგაზრდობა ძლიერ ცუდს პირობებში იზრდება შინ და გარედ, მაგრამ მის გულში მაინც ღვივის ცეცხლი სიყვარულისა. ამის თავმდებია შეგნება, თვით გამორკვევა და თავის ცნობა, რომელსაც „დღიურის“ ავტორი, ახლად სწავლა დამთავრებული ახალგაზრდა აღიარებს თავისი დღიურიდან სამარცხვინო ფურცლების ამოხევის განზრახვის დროს. „იმდენი სიმხნე მაინც უნდა მქონდეს, რომ ჩემსავე სასტიკ აღსარებას გულის ჯიბეში მაინც გაუძლო“-ვო. ასეთის შეგნებით გამხნევებული და აღტაცებული უბრუნდება იგი სამშობლოს „ასაგებად სამთელქვეყნო, სანეტარო ცხოვრებისა“. სანეტარო ცხოვრების დასამყარებლად პირველ ყოვლისა საჭირო იყო სიტყვა, ხმა ჭეშმარიტებისა და აკი კიდეც გაისმა იგი დადიანის მინიატიურა „ხმაში“.

მართალია ცხოვრება ისეთს კალაპოტშია ჩაყენებული, რომ თითქო იგი ასეც უნდა იყოს მოწყობილი „ბუნების საიდუმლოებით“ წყალობით, მაგრამ მის „მესაიდუმლეთ იციან, რისთვის მიმდინარეობს ეგრე უწყალოდ“. და ვისაც უშიშრად პირდაპირ სიმართლისათვის შეუხედავს, მხოლოდ იმან იცის... რომ კალაპოტს ხშირი ცვლა უნდა“. ეს აზრი ალეგორიულად აქვს გამოთქმული დადიანს ეტიუდს „კიდევ მდინარეში“. ერთხანად კიდეც გამოირკვა, რომ აზობოქრებული ცხოვრება მწყობრ კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო. „ღამის ცას გადაეწმინდა, მოკაშკაშებულიყო, ვარსკვლავნი ციმციმებდნენ, მთვარეც გაბადრულიყო და მისი ნაზი ნათელი სოფელს გარს შემორტყმოდა“. მხოლოდ სოფელი ერთნაირად არ იყო განათებული: მთანი, ხევები და თვით ადამიანის მიერ შექმნილი შენობები „კარგა დიდ ალაგს აჩრდილებდნენ“. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ასე ჩრდილი მოსჩანდა რიგ-რიგად, ნაკვეთ-ნაკვეთად“ „ჩრდილი და სინათლე, ბნელი და ნათელი“. მართლაც ასე იყო აფერადებული იმ დროინდელი ცხოვრება. „სინათლის სვეტი თრთოდა ცის ეთერში, საერთოდ მაინც ვერ გაშლილიყო“, ერთმანეთში ირგოდა ჩრდილი და სინათლე, ბნელი და ნათელი.

„იყო ფალავანი შემოზღუდული ყინულის კედლით“. აგერ „დადგა გაზაფხული და იწყო დნობა ყინვამ, წამოვიდა წყლად“, მაგრამ ჯერ კიდევ სულ არ გამდნარა, თუმცა „მზემ უკვე დაიუფლა ყინვის კედელი“. (დაბეჭდილია 1906 წ. 6 იანვარს) „დაიბადა მშვენიერი ბავშვი“. „სიმართლის შვილი იყო, გაჭირვება აკვანს ურწევდა, ჭეშმარიტებამ მონათლა, დაჩაგრულები ძუძუს აწოვებდნენ, ჰენიოსებმა აღზარდეს“. ასეთნაირად მისდევს დადიანი კვალ და კვალ ცხოვრებას და მოკლე, მაგრამ მოხდენილ ეტიუდებში გვიხატავს შემდეგს მოვლენებსაც.

ყველა აქ აღნიშნული ეტიუდები დადიანისა, როგორც ჰხედავთ, ერთსა და იმავე აზრს ემსახურება. მათ უფრო პუბლიცისტური ხასიათი აქვთ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ისინი მაშინდელი პუბლიცისტური და გაზეთის მეთაური წერილების მოკლე შინაარსის მხატვრულად გადმოცემა უფროა, ვიდრე წმინდა ხელოვნური ნაწარმოები.

თითქმის ასეთივეა დადიანის მოზრდილი ნაწარმოები „შვილი“.*) ავტორს ძალიან დიდი და მეტად ძნელი საკითხის გადაჭრა უკისრნია. საზოგადოდ ბავშვის აღზრდა-განათლების საკითხი ყოველთვის ერ თავსატეხ და საჭირ-ბოროტო საქმედ იყო აღიარებული. ამ საქმის რიგიანად დაყენება და მოგვარებ ხშირად ბევრ სხვა საზოგადო საქმ

იხ. „სახალხო გაზეთი“ № 586.

*) მრავალ მიზეზებისა გამო იძულებულნი ვხდებით შემოქმედების ამ ხანას მხოლოდ მკრთალად შევეხოთ. გ. ჭ.

**) იხ. 1905—6 წლ. „ცნ. ფ“-ს სურათებიანი დამატების №№ 295, 300, 31 , 320, 345, 347, 353, 369, 375 და 1906 წლ. „შრომის“ დამატ. №№ 9 და 15.

*) იხ. 1908 წლ. გაზ. „ისარი“-ს №№ 36 38, 46, 48.

გახსნა. იხილავენ მეორე საკითხს—იმ ადგილების დანიშვნა, სადაც უნდა დაწყობილ იქმნეს ცდა და რომელი კომბინაცია და რამდენი უნდა იქმნეს საცდელად აღებული.

ვ. ი. რცხილაძე უმარტავს საკითხს, უნდა გამოვარკვიოთ, რომელი ჯიშის ვაზი, რომელზე ვამყნოთ და რამდენი ვამყნოთ, რომ მოსავალიც გამოვიკვლიოთო.

ვ. ნ. ავალიშვილი ეკითხება, ნამყენის ღვინო სჯობია ჩვენებურს, თუ წინააღმდეგ.

თავმჯდ. ვ. რცხილაძე უპასუხებს, რომ, როგორც კონდოლის სანერგის გამოცდილებითა სჩანს, 1907 წლის, 1900 როპესტრის დიულოს ჯიშის ვაზის მოსავალს, თუ არ მოუმატნია, არ დაჰკლებია და თვისებითაც უკეთესი ყოფილაო.

აქეთ-იქიდამ აცხადებენ, რომ თვისებას, მხოლოდ ანალიზი გამოარკვევს.

ბ.ბ. მჭედლიშვილი და გოგნიაშვილი არ ეთანხმებიან, ანალიზი გამოაკვლევს ნივთიერობის მეტ-ნაკლებობას, მხოლოდ გემოვნება, გემოთივე უნდა გაისინჯოსო.

ამავე დროს დამსწრე პირთაგან—ძველ მემამულეთ და მეღვინეთ სთხოვენ გაესინჯათ ბ-ნ ავერკინის წარმოდგენილი ამერიკულ ვაზზე მოსული ღვინო. ამათ გასინჯეს ორი ბოთლი 1900—1911 წლ. მოსავალი. პირველმა მიიღო 4 ნიშანი, მეორემ 27|10. ამათი აზრით, ეს ღვინო ჩვენებურს ვერ შეედრება; მხოლოდ შეუძლიან ჩვენი ღვინის მაგიერობა გასწიოს.

კითხვა, თუ თითო ჯურის ვაზი რამდენი უნდა იქმნეს საცდელად აღებული, კამათს იწვევს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ დემენტიევი, ვერმიშევი, მაკარაშვილი, ტყავაძე, გოგნიაშვილი და სხვ. გადასწყვიტეს, რომ სხვა და სხვა ჯურის ვაზი იმდენი ჩაიყაროს ცალ-ცალკე საცდელად, რომ ერთ და იგივე დროს ჯიშის გამოცდასთან, ღვინის გასინჯვაც შეიძლებოდეს, რისთვისაც ას-ასი ცალი საკმაო აქნება.

ეს საცდელი სანერგეები უნდა გაშენდეს სხვა და სხვა ნიადაგზე, რომლის შესახებაც ს. ნ. ყაზარაშვილმა მოახსენა, რომ კახეთში ბევრი ჯურის ნიადაგია, უმთავრესად კი იგი გაიყოფება ოთხად: 1—კირნარევი, 2—თიხა—კირნარევი, 3—ლამიანი და 4—ქვიშა ნარევი.

კამათი გადადის იმაზე, თუ საცდელი სანერგეები სად და რომელ რაიონში გააშენონ. სანერგეების გასამართავად ადგილების ამორჩევა სძნელო ხდება. უნდათ კომისია აირჩიონ, მაგრამ შიშობენ ვაი თუ მასში ერთი რაიონის წარმომადგენელნი მოჰყვნენ და ცალ მხრივ გადასწყვიტონ საკითხიო.

ქ. ტყავაძეს განმარტება შეაქვს, არა თუ კომისიას, არამედ მთელ კრებას გადამწყვეტი ძალა არა აქვს, რადგანაც ჩვენ მხოლოდ უნდა ვითათბიროთ, აზრი წარუდგინოთ და მერე თვით სას. სამეურნეო საზოგადოება გადასწყვეტსო.

ირჩევენ კომისიას, ყველა მხრიდამ ასახელებენ და ამისთვის მრავალ რიცხოვანი გამოდის. თავმჯდომარე სთხოვს კომისიას სალამ. კრებამდე მოეხსენებინა თავისი აზრი.

მესამე კითხვა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით და ცოდნით, რომ ეს დიდი საქმე სასურველად მოეწყოს.

ა. მ. დემენტიევი 21 აპრილის კანონის ძალით ყველა რაიონში უნდა დაარსდეს მეღვინეობის და მებაღეობის კომიტეტები, რომელშიაც ნახევარზე მეტი საზოგადოების წარმომადგენელნი იქნებიან. ამ კომიტეტის გარდაწყვეტილებას კანონიერი ძალა აქვს და ყველასათვის ვალდებულიც არის, ამისათვის უნდა ვეცადოთ მისი საჩქაროდ განხორციელება კახეთში.

ი. ფორაქაშვილი და ალ. ციციშვილი ითხოვენ რომ ქარ. სას.-სამეურნეო საზ. ხელმძღვანელობით 3—4 სოფელში ერთი რაიონული კომიტეტი იქნას დაარსებული, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობას გაუწევს მეურნეთ და საჭიროების დროს დაეხმარება, მხოლოდ როცა კახეთის კომიტეტი დაარსდება, ამ რაიონების წარმომადგენელნი იქნებიან მისი წევრნიო.

თათბირიც ამ ორთავე წინადადებას ადასტურებს და ამ შინაარსის რეზოლუცია გამოაქვს.

მეოთხე კითხვა შეეხება ნივთიერ საშუალებას თუ სანერგეების გასაშენებლად საჭირო თანხა საიდან უნდა შესდგეს.

ა. მ. დემენტიევის დახმარებით გამოიანგარიშეს, რომ ოთხ ადგილას სანერგის გაშენებას დასჭირდება არა ნაკლებ 25 ათასი მანეთისა.

თავმჯდ. ვ. ი. რცხილაძე—ეს საქმე საერთო საქმეა, ყველა უნდა იყოს ამაში დაინტერესებული, როგორც გლეხობა, ისე თავ.-აზნაურობა და საუფლისწულო უწყება. ეს ხარჯიც ყველამ უნდა გაინაწილოს, თავ. აზნაურობას მოეპოვება საშუალება, გლეხობას-სასოფლო-სმეურნეო თანხა, მხოლოდ საუფლისწულო უწყება დიდი შეძლების პატრონია. საჭირო ფულის ნახევარი რომ ამ სახით ვიშოვნოთ, მეორე ნახევარს იმედია მთავრობა მოგვცემს. კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას და ადგენს აღიძრას შესაფერი შუამდგომლობა ამ ფულის თხოვნის შესახებ.

მეხუთე კითხვა-რა ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ ამ საქმისათვის გლეხების მეურნეობა.

თავმჯდ. ვ. ი. რცხილაძემ გადასცა ქ. სას-სამ. საზ. გამგეობის აზრი, შეიძლება იმათში ვინმე დასთანხმდეს, რომ შრომით დაგვეხმაროს, სამაგიეროდ ყველა მასალებს ჩვენ მივცემთ უსასყიდლოდ და ვენახი თვითონ გაუშენდება, მხოლოდ თუ ასეთს ვერ ვიშოვნით, მაშინ შეიძლება ცოტაოდენი ფული დავეხმარნეთ, რადგანაც ჩვენი დარიგება ვაზის მოვლის შესახებ უნდა შეასრულოს, ან კიდევ ვთხოვთ, ვისაც ჯერ არს, რომ ეს გლეხი ბეგრისაგან იქნეს განთავისუფლებული.

ა. მ. დემენტიევმა განაცხადა, რომ ის სწორედ ასე იქცევა, გლეხები მიწას ამზადებენ, ჩვენ ვაზს ვაძლევთ და ვარიგებთ როგორ უნდა მოუარონ და დაკრეფის დროსაც თვალყურს ვადევნებთ. ასეთ პირობებში გლეხები თვითონვე იხვეწებიან და ერთის მაგიერ რამდენიმე მთხოვნელია ყოველთვისო.

დამსწრეთაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ასეთ პირობებში მსურველნი ბევრნი აღმოჩნდებიან.

მეექვსე კითხვა თუ როგორ გავრცელდეს ხალხში, უკვე მოწონებული ლონის ძიებანი და რა გზით განხორციელდეს მომავალი განძრახული გამოკვლევანი, კრებამ უკამათოდ იცნო ასეთ ლონისძიებად პრესსა, ბროშიურების და ფურცლების გავრცელება და ლექციების მოწყობა სოფლად.

საცდელ სანერგების გასაშენებლად ადგილების ამორჩევის კომისიას საჭიროდ მიაჩნია ასეთი სანერგეები 9 ადგილას გაიმართოს, წინედ-კი ნიადაგის სხვა და სხვაობის მიხედვით 4 ადგილას იყო განზრახული, მაგრამ ზოგ რაიონში უკვე არის, მაგ. კონდოლის სანერგე, რაიონში მემამულენი თავიანთი ხარჯით გააკეთებენ, ისე რომ ქარ. სას.-სამეურნეო საზოგადოებას თავის ხარჯით ოთხ ადგილას მოუხდება სანერგის გაშენება.

რადგანაც გადასარგველი დამყნილი ვაზი ნაკლებად იშოვება კახეთში, კონდოლის სანერგე ვერ ასწრობს, ისე რომ 1914 წლისთვისაცკი ეხლავე შეუკვეთნიათ ასეთი ვაზი, ბევრ კერძო მემამულეთ გაიჩინეს სანერგეები, რომლებზედაც აუცილებრივ საჭიროდ მიაჩნია თათბირს მეთვალყურეობა. ამას გარდა ფიცხელი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ გაღმა „კაბალოს“ მხრიდან ე. ი. ფილოქსერის რაიონიდამ ვაზი არ იქმნეს შემოტანილი, ამისათვის-კი საჭიროა ინსტრუქტორების გამრავლება, რისთვისაც თათბირი ერთხმად ადგენს ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტის დაარსების დაჩქარება კახეთში და ვიდრე ეს განხორციელდება, ინსტრუქტორების დანიშვნა კახეთში არა ნაკლებ 6 კაცისა. ამით გათავდა ყველა საკითხების განხილვა. ამას გარდა ამ კრებაზე დაადგინეს ასეთივე თათბირი გაიმართოს ივრის ხეობაში.

თავმ. ვ. ი. რცხილაძე მადლობას უცხადებს დამსწრეთ, ეს ორი დღე დილიდამ საღამომდის გაგრძელებულ კრების წესიერად მსვლელობას ხელი შეუწყეს და ყველამ თავის ცოდნა და გამოცდილება შეიტანა მთელი კახეთისათვის საჭირო საკითხების გამორკვევაში და საღ. 10 საათზე თათბირი დახურა.

კრებამ თავის მხრივ მადლობა გადაუხადა ვ. ი. რცხილაძეს თავმჯდომარეობის და ხელმძღვანელობისათვის და ნელ-ნელა დასტოვა საკრებულო დარბაზი.

დავიწყებული.

იაკობ გოგებაშვილის ავად-მყოფობა.

ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო იაკობ გოგებაშვილის ავად-მყოფობა. ამის შემდეგ ცოტაოდენი გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ ამ ჟამად, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ავად-მყოფობა კვლავ გასძლიერებია. კვირას ექიმებს ტ. ქიქოძეს, გ. მაღალაშვილსა და სხვებს კონსილიუმი ჰქონდათ. გუშინ კიდევ მოწვეულ იქმნა დოსტაქართა კონსილიუმი.

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“.

ამ დღეებში გამოვა საზოგადოების წარსული საანგარიშო წლის ანგარიში. გავაცნობთ მკითხველებს მოკლედ ამ ანგარიშს.

ღვინო. საანგ. წლის განმავლობაში საზოგადოებას წევრთაგან მიუღია 64,034 ვ. ღვინო დაფასებული 203,668 მანეთად. ამ გაყიდულ ღვინოდან მარტო განყოფილებებს გაუყიდნია 21,356 მ. ღირებული 108,634 მ. დანარჩენი გაყიდულია ტფილისში. ღვინის ანგარიშში აღსანიშნავია, რომ ტფილისში ღვინოს დაუშრია (ეგრედ წოდებული усышка, утечка, брожжи) 0,16%, განყოფილებებში კი ყველგან ბევრად მეტი; მაგალ. პეტერბურგისას 2,4%. ტაშკენტისას 3,9%, მოსკოვისას 4,3% და ყველაზე მეტი კი ასხაბადისას 7,7%. ბაქოსას კი მხოლოდ 0,9%. ღვინოზე მოუგია საზოგადოებას 92,365 მან. აქედან განყოფილებებს 32,130 მ. (ბაქოს 7,490 მ., მოსკოვს 5,926 მ., ასხაბადს 5,924 მ. ტაშკენტს 12,628 მ., პეტერბურგს მხოლოდ 160 მან. ალექსანდროპოლს არაფერი).

საზ. წევრები. წევრი საზ-ს ჰყავდა უცვლელად 164. წარსულ წლებში მიცემული ავანსად ღვინის ანგარიშში ფული თითქმის ისევ ისე უცვლელად ზოგიერთ წევრებზე ითვლება 120,206 მ., დანარჩენ წევრებს მისაღები აქვთ 31,513 მ. წლის განმავლობაში წევრებისგან მიუღიათ 51,321 მანეთის ღვინო, რომელშიაც მიუციათ 49,030 მ.

ვალები. საზოგადოებას მართებს თამასუქებით 94,419 მ., წევრებისა მართებს 31,513 მ., სხვა და სავა მოვალეებისა 84,260 მ. სულ საზოგადოების ვალი არის 210,192 მ.

დებიტორები. წევრებსა მართებთ საზოგადოებისა 120,206 მ. სხვა და სხვებს 62232 მ. სულ საზოგადოებისა მართებთ 182,438 მ.

ამას რომ სხვა და სხვა ქონება მივუმატოთ, რომელიც ბალანსის აქტივზეა აღნიშნული, სულ შესდგება ბალანსის აქტივი (ქონება) 259177 მ. და ამნაირად საზოგადოების საკუთარ ქონებად (საწარმოებელი და სათადარიგო თანხები) რჩება 51315 მ.

მოგება-ზარალი. ტფილისს წარმოებიდგან მოუგია 22514 მ., მხოლოდ ყველა განყოფილებებს უზარალნიათ 24848 მ. (აქედან უზარალნია ბაქოს 5215 მ., მოსკოვს 3735 მ., ასხაბადს 3866 მ., ალექსანდროპოლს 300 მ., ხოლო მარტო პეტერბურგს 13731 მ. ტაშკენტის განყოფილებას კი, მოუგია პირიქით 2018 მ.) ამნაირად საზოგადოების ზარალად ნაანგარიშევია 2333 მ.

არ შეიძლება საზოგადოებას არ ვუსაყვედუროთ, რომ თავის ანგარიშში ყოველთვის მხოლოდ მშრალი რიცხვები მოჰყავს, თავის დღეში არავითარი განმარტება და არც სარევიზიო კომისიის რამე მოხსენება არ არის; ასეთი ანგარიში კი, გვგონია, თვით საზოგადოების წევრთათვისაც გაუგებარია, მით უფრო რომ უმრავლესობა საზოგადო კრებას სრულებით არ ესწრობა. წლევანდელ წლის ანგარიშიც, როგორც ეტყობა, ასე მშრალად არის შედგენილი (ვამბობთ „როგორც ეტყობაო“, რადგან მთელი ანგარიში თითქმის დაბეჭდილია და ამ დღეებში წევრებს დაურიგდებათ კიდეც). სწორედ ამ ანგარიშს კი უფრო ესაჭიროებოდა რიცხვების განმარტება, რადგანაც საქმეში ჩარეულია თავად-აზნაურობაც, ფულითაც დახმარება გაუწია და ანგარიშში კი პირდაპირ არა სჩანს რა.

ოდესის უნივერსიტეტის გარშემო.

ოდესის უნივერსიტეტი ძალიან ცუდ, უმწეო მდგომარეობაშია. იგი ჩავარდნილა „ჭეშმარიტ რუსთა“ ხელში, მათ ბუდედ გადაქცეულა. „ჭეშმარიტ რუსებს“ თავი მოაქვთ თავისი „აკადემიზმით“, ერთავად იმას გაიძახიან უნივერსიტეტი მხოლოდ მეცნიერებისთვის უნდა იყოს, მაგრამ მეცნიერების ტაძარი მათ უდაბნოდ გადააქციეს. ავიღოთ მაგალითად საექიმო ფაკულტეტი. თითქმის ყველა კლინიკა სწავლის დათავების ორი თვით ადრე დაიკეტა უსახსრობის გამო. ამავე მდგომარეობაშია ყველა ლაბორატორია და ის ფაკულტეტი, სადაც საჭიროა საპრაქტიკო მუშაობა. უნივერსიტეტის ბატონ-პატრონად გამხდარი უნივერსიტეტის საბჭოს მდივანი გერიხი, რომელიც ისე იქცევა, როგორც თითონ მოესურვება ეს ის გერიხია, რომელმაც აკადემისტ სტუდენტებს ამას წინად იარაღი დაურიგა და სტუდენტთა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია.

ადესის უნივერსიტეტის მდგომარეობა იმდენად აუტანელი გახდა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ბევრი სხვა უნივერსიტეტში გადადის; მომავალში ცოტა სუდენტების შემოსვლას მოელიან. თუ ასე გაგრძელდაო, უთქვამს ერთ-ერთ აქაურ პროფესორს გაზეთის თანამშრომლისათვის, უნივერსიტეტი არაბეთის უდაბნოს დაემსგავსება, ჩვენც ცარიელ აუდიტორიებში მოგვიხდება ლექციების წაკითხვა, თუ ჯაშუშებსა და პოლიციელებს მსმენელებად არ ჩავთვლითო.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ჩიფუ. ჯამაგირის დაგვიანების გამო, ჯარის ერთი ნაწილი აჯანყდა. სამი მოთავე დახვრიტეს. იუნშინისა და ვედენის აჯანყებაც მოსპეს.

სიმლა. ამბობენ, ტოხასში ტიბეტლებისა და ჩინელთა ბრძოლა შესწყდაო. ტიბეტლებს ჩინელთა განდევნა ვერ მოუხერხებიათ. ეხლა მოლაპარაკება გაუმართავთ ჩინელებთან, იარაღი აიყარეთ და უკან დაიხიეთო. ამბობენ, ჩინელებს ჯარის მოშველების იმედი აქვთ და შეიძლება დასთანხმდნენო.

კაშგარი. შეიარაღებული ბრბო დაოტაის სახლში შეუვარდა. დაოტაი და მისი ცოლი მოჰკლეს. მაზრის მოხელემ თავი გუბერნატორად გამოაცხადა. ქალაქში მშვიდობიანობაა. მკვიდრთა და უცხოელთა ქონებას არ შეეხებიან.

პეკინი. ეროვნულ კრების კომისიამ მოიწონა პრეზიდენტის მიერ შეტანილი მოსაზრება, რის ძალითაც თანისა, ურიაქაისა და კობდოსაგან საადმინისტრაციო ერთეული უნდა შესდგეს, რასაც ერქმევა „დასავლეთ მონგოლეთი“.

მთავრობამ რამდენიმეჯერ ისესხა ფული.

მუკდენი. პეკინიდან მოსულ ბრძანებით მანჯურიაში მონარქიულ ორგანიზაციებს აეკრძალათ მოქმედება. მონარქისტების მოთავეებს თვალყურს ადევნებენ.

კულჯა. ცზინხოს ახლო, გენერალ იანშუნლინის ჯარმა მონგოლები დაამარცხა. სუიდუნიდან ცზინხოს მიმავალ ქარავნებს მონგოლები სძარცვავენ.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება: ტყუილია „ბერლინერ ცაიტუნგის“ ცნობა, ვითომც იტალია და ინგლისი ეგეის ზღვის კუნძულთა, (განსაკუთრებით [illegible]) დაჭერის გამო [illegible]. იტალიელებმა [illegible]ტრალ სახელმწიფოთა ინტერესების დასაცველად ახალი წესი შემოიღეს. გემებს როდოსის ნავთსადგურში შესასვლელად ნებართვის ქაღალდს აძლევენ და იტალიელთა ჯარის უფროსების ზედამხედველობით შეიყვანენ ხოლმე ნავთსადგურში.

ტარენტი. როდოსის კუნძულიდან ვალი (მმართველი) და სხვა ტყვე ოსმალები ჩამოიყვანეს.

სალონიკი. ორი კორპუსის მოგროვება ბრძანეს. რუმელიისა და მცირე აზიის სათადარიგოებსაც იბარებენ.

ადესა. სტამბოლში მყოფი ინგლისის ლოიდი იტყობინება: დარდანელთან მდგარი 204 დატვირთული გემი ამ დღეებში წავაო; შემდეგ გამოვლენ შავის ზღვისაკენ მომავალი გემები.

დარდანელში ნაპირზე კამოტანილი ნაღმი აფეთქებულა.

რომი. ადმირალი ვიალე იუწყება: კარპატოსისა და კასოსის კუნძულზე იტალიის დროშა ავაფრიალეთ და ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი დავატყვევეთო. დაუტყვევებიათ აგრედვე ეპისკოპოსა და ნიზიროსის მთავრობის წარმომადგენელნი. ტყვეებს იტალიაში ჰგზავნიან.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თავრიზი. სალამასში ქურთების თემების ბელადები ჩამოვიდნენ და გუბერნატორს განუცხადეს: ამიერიდან სპარსეთის მთავრობას ვემსახურებითო. ზენჯანის გუბერნატორად თეირანიდან დანიშნული, ყაზვინთან რო მივიდა, დეპეშით სთხოვა შუჯა-უდ-დოულეს: ტყვია-წამალი მომაშველეთო. შუჯა-უდ-დოულეს არა ჰქონია ტყვია-წამალი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

28 აპრილი.

ალბანელთა მოძრაობა.

სტამბოლი. იპეკიდან ცუდი ამბები მოდის. ალბანელებს ოსმალეთის წინააღმდეგ მოძრაობა გაუჩაღებიათ. ამბობენ, ცოტახნით მინელებული მოძრაობა ალბანელებისა 23 აპრილის შემდეგ გაღვივებაო და გამართლდა კიდეც. იპეკში რამდენსამე სახლს დაეცნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლის მოკვლაც არა ერთხელ განუზრახავთ, მონასტერს ჩამოვიდა და აქედან იპეკს მიდის. ალბანელები მოითხოვენ, შარშან მალისორებს რო შეღავათი მიეცით, ჩვენც გვიწილადეთო. ამავე დროს გაძლიერებულა ბულგართა ყაჩაღების მოქმედება.

ოსმალეთს გადაუწყვეტია: ალბანელებს, რაც კი შესაძლებელია, ყველაფერს დაუთმობთო.

ბელგრადი. მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს იპეკისა, პრიზრენისა და დიაკოვიცის მიდამოებში არნაუტთა მოძრაობას.

სტამბოლი. მთავრობა იპეკის ამბის თაობაზე იუწყება: მხოლოდ რამდენსამე ჯარისკაცსა და ჟანდარმს დასცემიანო. ჯარმა არეულობა ჩააქრო და იპეკში მშვიდობიანობაო.

დუელის საკითხი გერმანიაში.

ბერლინი. საბიუჯეტო კომისიამ დუელის საწინააღმდეგო დადგენილება გამოიტანა. დუელში გამწვევი, შეუძლიათ სამხედრო წრიდან გამორიცხონ.

ხორვატელთა საქმე.

ლუბლიანა. სლავინების ლიბერალთა საბჭომ ხორვატელებს სიმპატია და თანაგრძნობა გამოუცხადა. საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ავსტრიის პარლამენტის სლოვინელ-კლერიკალებს ხორვატელთათვის მხარი არ დაუჭერიათ.

ზაგრები. სერბიელ-ხორვატელთა კოალიციის ორგანოს რედაქტორს მოსამართლის შეურაცხყოფისათვის ოთხის თვის ციხე გადაუწყვიტეს.

რუსეთში

„რეჩის“ დაჯარიმება

პეტერბურგი. 26 აპრილის ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილისათვის 350 მანეთით დააჯარიმეს.

რონიკერის საქმე.

ვარშავა. დღეს რონიკერის საქმის განაჩენი უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ გადასდეს, რადგანაც პარიზიდან ექსპერტებს მოელიან, მათ რონიკერის წერილები უნდა გაშინჯონ.

განაჩენს აურებელი ხალხი მოელოდა.

საც სწყვეტდა. დადიანის მიზანია მხატვრული ნაწარმოების საშუალებით დაარწმუნოს მკითხველი და მიაღებინოს მას აღზრდის ის პრინციპი, რომელიც დღეს ჭეშმარიტებად არის მიჩნეული. ავტორმა იცის, რომ საჭიროა ნივთიერი სახსარი და „უმაღლესი ცოდნა ადამიანის ფსიხიკისა“ ბავშვის აღსაზრდელად. უმისოდ „მშვენიერი სურათი სხეულითა და სულით ახოვანის მომავალის ადამიანისა სრულიად განქარდებაო“—ამბობს მამა. მამა ჰხედავს, რომ მას მომზადება აკლია ამ დიდი საქმისათვის და მთელ იმედებს ბავშვის დედაზე ამყარებს. „დედა! რამდენი მშვენიერებაა ამ სიტყვაში გაბნეული, რამდენი საუკეთესო, სალუქი გრძნობა ადამიანისა“... „თვით მხეცებშიაც კი... დედობა წმინდა რამეა“. ბავშვი შვილია, პაწია საცოდავი რამ არსება და, მაშასადამე „შებრალება უნდა, დახმარებაო“. მაგრამ მამა ამაში დათმობასა ხედავს: „ეს ხომ შეზღუდვა იქნება შენის ნებისა, სურვილისა, თავისუფლებისა და, მაშასადამე, მსხვერპლიო“. მშვენივრად და ფსიხოლოგიურის სინამდვილით აქვს ავტორს გადმოცემული ის მომენტი, სადა მამის გრძნობა-გონებაში ებრძვიან ერთმანეთს თავისუფლების შეზღუდვა-მსხვერპლი — და მშობლიური მოვალეობა—აღზრდა ბავშვისა. ვალდებული ვარ, რომ გავაჩინე, ვალდებული ვარ, რომ აღვზარდოო. მიუხედავად ასეთის გადაწყვეტილებისა მამა ვერ ერეოდა ბავშვის მოვლაში ვერც საქმით და ვერც სიტყვით. ბავშვი მას არ იზიდავდა, პირიქით, იგი მიზეზი გახდა იმისა, რომ დღემდის „ერთსულ და ერთხორცი“ ცოლქმარი დღეს ერთმანეთს გაეყარნენ: დედა მეტს დროსა და ყურადღებას ეხლა შვილს უზიარებდა. მაგრამ ბავშვის პირველმა ღიმილმა მამაც მოისყიდა და მისი ალერსიც დაიმსახურა. დაკვირვებული მამა გრძნობს, რომ „უქრთამოდ თვის შვილს ვერ მიეკარა,“ ვერ მოუალერსა. ბავშვის უმანკო, ზეციურმა ღიმილმა კი იგი დაიმორჩილა. აი ეს ადგილი, ეს პირველი მომენტი ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებისა ისე წარმტაცად არის დასურათებული და გადმოცემული, რომ თვით ქვის გულის მქონე ადამიანსაც კი დაიპყრობს და აგრძნობინებს, რომ „შვილი თვით სიყვარულიაო“. დედის გრძნობა-სიყვარული შვილისადმი ხომ პირდაპირ შეუდარებელია ამ ნაწარმოებში. შვილის სიყვარულით გატაცებულ მშობლებს ესტუმრება ოჯახის „მეგობარი“, მამის კარგი ნაცნობი და ქალის მართლაც მეგობარი. ამას უკვირს, რომ ასე გაგიჟებით უყვართ მშობლებს შვილი და ასე ზრუნავენ მისთვის, რომ თავს ევლებიან მას... მეგობარი ვერ შეეგუებია ასეთს ზრუნვა-სიყვარულს მშობლებისას და პირდაპირ იწყებს თავის პროპაგანდას: „მე მთელის ჩემის არსებით წინააღმდეგი ვარ დედობრივის გრძნობებისა, შვილის სიყვარულისა... მე არ ვამბობ, რომ ეს სიყვარული, ეს გრძნობა არ არსებობდეს... დიაღაც არსებობს, ძალზედაც არსებობს... მე ვამბობ მხოლოდ, რომ იგი ზედმეტია, იგი გაზვიადებულია, იგი კაცობრიობის მიერ გაბერილი ხორც მეტია, რომელიც კაცობრიობისავე წინსვლას ეღობება, ხელს უშლის, ო, რა საშინლად უშლის“!.. და სხვა. მართალია მეგობარი სცნობს, რომ „დასაბამი სიყვარულისა ბუნებრივია, მაგრამ შემდეგი აყოლა მისი „ავადმყოფურია, განგებ თავზე მორთული, მემკვიდრეობით გადმოყოლილი, შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადმოცემული. ვერც მარტო ბუნებრივობის ჩარჩო-კალაპოტი გვიხსნის, რადგან ეს „უზენაეს საგნად მიჩნეული გრძნობა დედობრიობისა, შვილის სიყვარულისა დიდხანს არ გაგვყვება... თვით პირუტყვებიც მეთქი... ისინიც კი მხოლოდ დრომდის არიან დედაშვილნი... მშობლები მოთმინებიდან გამოიყვანა ამ „დამთხვეულის“ ქადაგებამ. „შენ გაუტაცნიხარ უტოპიურ სურვილს,—ეუბნება მამა მეგობარს, უთუოდ ახალმა სიომ შენზედაც იმოქმედა. კარგად მესმის... როგორ ეძახიან: ხელახალი შეფასება. შენ დედობას გამოჰკიდებიხარ და ის, რასაც კაცობრიობა გამოუყვანია სათნოებასა, სიყვარულსა და სიქველის გზაზე, იმ გზაზე, რომელიც ნამდვილი და ადამიანურია, შენ გასაქელად და გასაკიცხად მიგაჩნია... არა გყოფნის“... შემდეგ აღნიშნავს თუ რამდენი სიკეთე უსწავლებია შვილისათვის დედას: სიყვარული, მხნეობა, ნუგეში, შეწყნარება, გრძნობის სინაზე, სიმახვილე; დედამ კაცობრიობას სამაყო გმირები და ჰენიოსები მისცაო და სხვა. „თუ ძმა ხარ არაფერი მითხრა იმ ყაზარმულ დაწესებულებაზე, რომელზედაც ეგრე მჭერმეტყველობენ ზოგიერთი უტოპისტები“. ეს ის ყაზარმაა, სადაც ამ „უტოპისტების“ აზრით უნდა მოეწყოს ბავშვების აღზრდა ახალ წესზე, უდედ-მამოდ, ოჯახს გარედ. მამა მაგალითებით ამოწმებს ოჯახური აღზრდის უპირატესობას და ყაზარმულის სიყალბეს. სხვათა შორის მოჰყავს, როგორ უარჰყოფს დაკარგული დედის შვილი ოქროს, საჩუქრებს და გენერლის ალერსს, რომელიც მოისურვებს ბავშვის დაჯილდოებას. „არა, მე ოქრო არ მინდა... დედა მოვა?“... ეკითხება გენერალს დასჯილი დედის შვილი. ან ვის არ მოეხსენება ერთი ლეგენდა დედაშვილის შესახებ, საცოლეს თხოვნის დასაკმაყოფილებლად და თავის სიყვარულის განსახორციელებლად ვაჟი რომ გაუპობს დედას მკერდს და იქიდან ამოღებულს მთრთოლვარე გულს თავის სატრფოს წაუღებს. ვაჟს გზაში ფეხი წაუცდება, დაეცემა და გული ხელიდან გაუვარდება; გული შეეკითხება: შვილო, ხომ არა გეტკინა რაო. ასე ძლიერია დედის სიყვარული შვილისადმი. და ვინც ამას ვერა გრძნობს და ხედავს „ავადმყოფობაც“ სწორედ ის არისო. საზოგადოდ, „შვილი“ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე. მართალია ზოგიერთი ადგილები დიდის ხელოვნებით არის შესრულებული, მაგრამ ამანაც ვერ დაჰფარა და ვერ გამოისყიდა სავსებით აშკარა პროპაგანდისტული ნაკლულევანებანი ამ ნაწარმოებისა.

(შემდეგი იქნება)

გ. ჭუმბურიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონიკიერი საბოლოო სიტყვით ამტკიცებდა თავის უბრალოებასა და ცუდად მოიხსენია ხავადსკის დამცველები. რონიკერს სიტყვა გააწყვეტინა ვექილმა პორვინ-პიოტროვსკიმ და თავმჯდომარის შენიშვნა გამოიწვია.

ერთი მოწმის ქმარმა გუტოვსკიმ ბობრიშჩევ-პუშკინი დუელში გამოიწვია.

ლენის ამბის გამო.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს წევრს სენატორ მანუხინს დაევალა ლენის მადნებში მომხდარ საქმის გამოძიება.

საქალებო გიმნაზია.

პეტერბურგი. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რის ძალითაც საქალებო საშუალო სასწავლებელში სავალდებულო უნდა იყვეს რომელსამე ახალი ენის სწავლება, გერმანულის ან ფრანგულისა.

თეატრი და ხელოვნება

ფოთი. ტფ. ქართულ-დრამატ. დასი ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით, ფოთელებმა დიდის ამბით მიიღეს. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ძველ ნაცნობ-მსახიობთ და ბანკეტი გაუმართეს.

დ. ლანჩხუთი. ხუთშაბათს, 26 აპრილს, ქუთაისის დასის ამხანაგობამ წარმოადგინა „მორევში“, სიო ქანტურიშვილისა.

კარგი იყო (მაროს) როლში ქ. შოთაძე (ფატმანეს) როლში ქ. ლოლობერიძე; კარგი იყვნენ კაცებიც (კოტე გრეხილაძის) როლში, შ. დადიანი (ტრიფონის) როლში ი. ზარდალიშვილი. კარგი იყო აგრეთვე (ვასიკოს) როლში ქ. წუწუნავა. წუწუნავა თუმცა ქალი იყო, მაგრამ საუცხოვოდ ითამაშა ვასიკოს როლი. ის გადაცმული იყო ბიჭის ტანისამოსით და ნამდვილი გურულის ტიპის ბიჭს წარმოადგენდა კილოც გურული ჰქონდა და მიმოხვრა. დანარჩენი მოთამაშენი ყველანი კარგი იყო. პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა რეჟისორის სული ეტყობოდა და პიესამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადებაში.

ბოლოს წარმოადგინეს ერთი მოქმედებიანი ვოდევილი „პრიკაშჩიკი კალათაში“. კარგი იყო. ბ. ნემო, ურიას როლში და დამსწრე საზოგადოება ბევრი აცინა ბოლოს ბ. ნემომ წაიკითხა სცენები. დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს ყველანი.

დიოგენი.

დ. ლანჩხუთი. პარასკევს, 4 მაისს, ამაღლების მეორე დღეს, ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილისა, ბ-ნთ შალვა დადიანის, სანიკის, ალ. ჯაყელისა და ადგილობრივი სცენის-მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა „სამშობლო“ დ. ერისთავისა.

ყვირილა. აქ დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა სცენის მოყვარეთა ჯგუფი ბ. ვ. არაბიძის თაოსნობით, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველ კვირაში ითამაშოს თითო პიესა. ჯგუფი ჯერ-ჯერობით ენერგიულად მუშაობს და იმედია მათი მოქმედება ბოლომდე გასტანს. ხუთშაბათს, 26 აპრილს, ითამაშეს შ. დადიანის ცნობილი პიესა „განწმენდის სასახლე“, რომელსაც მიუხედავად ცუდი ამინდისა საზოგადოება მაინც ბლომად დაესწრო. ბ. ვ. არაბიძემ იოსების მძიმე როლი პირნათლად შეასრულა, რითაც საზოგადოების მხრით ხანგრძლივი ტაშის ცემა დაიმსახურა. ქ. მქედლიძისას ანას როლში და ვანო საყვარელიძეს ლქვანის როლში არა უშავდათრა, ბ. მ. ალავიძემ დათიკოს მძიმე როლი, კარგად ჩაატარა. მშვენიერნი იყვნენ თავთავის როლებში ბ. კ. ასათიანი და ნ. კელენჯერიძისა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საზოგადოდ პიესამ კარგად ჩაიარა.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი სამწუხარო მოვლენა: როდესაც საზოგადოება გრძნობით უსმენს პიესას, შემოიჭრებიან ხოლმე ბახუსის მოტრფიალენი და უმზგავსო საქციელით წესიერებას არღვევენ. დროა კლუბის ადმინისტრაციამ ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს.

მან, ინ.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“. უკიდურეს მდგომარეობაში ვიმყოფებით დონის-როსტოვში გადმოსახლებული ქართველები. გადმოსახლებულთა რიცხვი მუდამ კვირაში მატულობს, ცხოვრების სახსარი კი მუდამ დღე კლებულობს და არსაიდან იმედი აღარ გვაქვს, რომ დანაკლისი ვინმემ შეგვივსოს. ისედაც ჩვენი ღარიბი მშობლები მთლად დაღარიბდნენ, ეს მეშვიდე წელიწადია რუსეთის შორეულ ცივ მხარეებში გვიგზავნიდნენ ცოტაოდენ გროშებს და ამითი იოლად მივდიოდით, დღეს კი მოგვაკლდა, აღარა აქვთ და რას გამოგვიგზავნიან. ამნაირად შიმშილი დღე და დღე მატულობს და ადვილი შესაძლებელია ბევრი გადმოსახლებული მდინარე დონს დაეწაფოს გასაძღომად, და გაამართლონ თავიანთი სიტყვები; ასეთი სიცოცხლე რაღად ღირს ბარემ დონში დავიხრჩობი და მოვრჩებით. პატივცემულმა მკითხველმა იქნება იფიქროს, ვინაა რომ ამასა სწერავს დონის-როსტოვი ხომ საწარმოვო ქალაქია, იმუშაონ გადასახლებულებმა და იცხოვრონო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა არსაით ქარხნებში არ გვღებულობენ, მიზეზად ამას გვისახელებენ, ქართველები ხართ, კავკასია გაანადგურეთ და ჩვენს ქარხნებში რომ მიგიღოთ— ხეირს არ დაგვაყრითო. რამოდენიმე გადმოსახლებულის სანუგეშოდ პორტლანდის ცემენტის ქარხანა დარჩენილა სადაც ოცამდი კავკასიელი მუშაობს. აქ იმიტომ მიუღიათ, რომ ვერ იმუშავებენ და წავლენო. მართლაც ყოვლად შეუძლებელია რომ ერთი კვირა იმუშაოს ადამიანმა ვინაიდან ცემენტის საწვავ ფეჩებიდან და საფქვავ წისქვილებიდან მთელი დღე და ღამე ცემენტის მტვერი ადის და თვალებში ეყრებათ მუშებს, ძლივს იხედებიან ან უკეთ რომ ვსთქვათ სულ ვერ იხედებიან და აზრით მუშაობენ თვალ დახუჭულნი. ყველაფერ გაჭივრებას—რომ გაუძლოთ და კუჭი გირვანქა შავი პურით დავაკმაყოფილოთ, გონებას რა ეშველება. არავითარი წიგნები ქართულ ენაზე არ მოგვეძებნება, ჟურნალ გაზეთებს ხომ დანატრებულნი—ვართ და ვინ იცის რად გვიღირს. ქართული გამოცემები დიდ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის. ვინაიდან რუსულ გაზეთებში, გარკვევით ვერ ვხვდებით თუ რა ხდება რუსეთში თუ სხვა— ქვეყნებში, მეტადრე გადმოსახლებული მუშები, რომლებიც მოკლებულნი ვართ კლასიკურ ცოდნას. უნდა გავბედოთ და უმორჩილესი თხოვნით მივმართოთ, ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, უფასოდ დაგვითმოს გადმოსახლებულ მუშებს, თავიანთი ყოველ-დღიური და კვირეული გამოცემები. ვთხოვთ წ. კ. გ. ს. შეიდეს გადმოსახლებულ მუშების მდგომარეობაში და მოგვაწოდონ რამდენიმე ქართული წიგნები.

Ростовъ н|д, цементный заводъ союза Тедо Яшвили.

მუშების მონდობილობით **მიხაკო ქანტურიშვილი და ალ. ბარბაქაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

როგორ უნდა გადაურჩეთ გადამდებ სენს? მაგალითად ხოლერას, სახადს, ქუნთრუშას, ყვავილს, წითელას, ათაშანგს, ქავანას? უპირველესად საამისოდ საჭიროა მეტის-მეტი სიფაქიზე. აუცილებლად საჭიროა, ყოველთვის პურის ჭამის დროს არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ. „ამისთვის კი განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის მოდების წინააღმდეგ საგანგებოდ დამზადებული **„№ 4711 სამკურნალო საპონი“** № 4711 Медицинскiя мыла“, როგორ უნდა იხმაროთ, ეს აწერილია (რუსულად და გერმანულად) საპნის გასახვევ ქაღალდზე.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონი“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია), „№ 4711 მდოგვის საპონი“ და № 4711 სულემას საპონი“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში, თითო ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს იქნება თავდები, რომ საპონი კარგის ღირსებისაა. Метиль 184045. (4.1215.1)

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 —III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/11, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 1.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილ ისა. (უ

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი**,—2 ს. საზებით და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის **დოქტორი. ა. ნ ვასარდიანი.** (წ. 1074.42)

იძლევა იჯარით

კახიაურის ა ვ ა რ ა კ ი, „საღორიაში“, **ქ. ქუთაისში**, რომელიც შეიცავს ექვს დესეტინამდე მიწას, გამოსადეგს საზოსტნედ.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება **ქ. ტფილისში**, გოლოვინის პრ., № 8, ძმ. ზუბალაშვილების კანტორაში. (3.413.2)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის

წ ყ ა ლ ი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ^{სა.}

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6**

(25.1160.14) **ტელეფონი № 411, ქუთაისში – პუშკინის ქუჩა № 5.**

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—51)

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

სატეხნიკო საქმეები

გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები (პროექტები და სმეტები დამტკიცებით) ყოველგვარ შენობების აგება, გადაკეთება, სასმელ წყლების და სარწყავების გაყვანა სხვა და სხვა ქარხნების და წისქვილების აგება (უწყლოთაც). ადგილების გეგმის აღება, დამიჯვნა, დაყოფა, დაზომვა, ყორღნების აღმოჩენა, სადაო საზღვრების გასწორება, შედგენა საქმის ქაღალდებისა, მამულების დაზღვევა და დაგირავება. კანტორა ღიაა დილის 8 ს. საღამოს 8 საათამდე. ვერის დაღმართი **№ 7. ტელეფ. № 691.**

(3.414.2) წერილობით: Технику Ніорадзе.

კახეთის რკინის გზის გამგეობა

აცხადებს, რომ გზის გასაყვანად საჭიროა დამზადდეს: 300,000 ცალი მუხის შპალი, 3650 ცალი სატელეგრაფო ბოძი.

შპალები შემდეგის ჯურისა უნდა იყოს:

პირველი ჯურა (№ 1) კოჭები, მორიდან გამოყვანილი, დიამეტრით არა ნაკლებ 5½ გოჯი. ორმხრივ, ზევით და ქვეით, გახერხილი, ხოლო ზევითა პირის სიგანე 3½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს. ზემო და ქვემო პირის შუა სისქე 3¼ გოჯი უნდა იყოს.

მეორე ჯურა (№ 2). ორად გახერხილ მორებისა, დიამეტრი 6½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს, ზემო პირი 2½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ქვეითა პირის სიგანე არა უდიდეს 8 გოჯისა. სისქე კი არა ნაკლებ 3 გოჯისა.

მესამე ჯურა (№ 3). მოკლე კოჭები, მორისა დიამეტრით 5 გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს. ორი პირი ქვეითა და ზევითა, გახერხილი უნდა ჰქონდეს, ზემოთა პირის სიგანე 2½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო სისქე 3¼ გოჯზე არა ნაკლები.

მეოთხე ჯურისა (№ 4). მოკლე კოჭები, მორისა დიამეტრით 6 გოჯზე არა ნაკლები, ზემო პირი გადაუხერხავი ჰქონდეს, ქვემო პირის სიგანე 5½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს, სისქე 3 გოჯზე არა ნაკლები.

შპალების საერთო რაოდენობიდან პირველი ჯურისა (№ 1) უნდა ჩაგვაბარონ არა ნაკლებ 30%, მეორე ჯურისა (№ 2) არა ნაკლებ 60%, მესამე და მეოთხე ჯურისა (№ 3 და № 4) არა უმეტეს 10%.

შპალების სიგრძე საერთოდ 1,15 საჟენი უნდა იყოს. ამაზე მოკლე ან 1 გოჯით გრძელი შპალი სრულ ზომიად არ ჩაითვლება.

სატელეგრაფო სვეტები მუხისა დიამეტრით თავში 3½ გოჯზე ნაკლები არ უნდა იყოს სიგრძით 4 საჟენი.

შპალებისა და სვეტების ჩასაბარებელი ადგილი. გზის კეთებას და ტელეგრაფის მოწყობის მიხედულობით, შპალები და სვეტები უნდა მიიზიდოს კახეთის რკინის გზის ქვემოდ აღნიშნულ სადგურებზე:

ნავთლუღ-კახეთისა .	51000	შპალი	330	სვეტი.
ვაზიანი	18000	„	440	„
იორი	23000	„	—	„
საგარეჯო	32000	„	870	„
ბადიაური	45000	„	—	„
ჩალაუბნის ულელტეხ.	7000	„	660	„
გურჯაანი	1000	„	780	„
ვაჩნაძიანი	1000	„	—	„
ბაკურციხე	2000	„	—	„
თელავი	—	„	330	„
წნორისწყალი . . .	—	„	240	„
	30,000		3650	

შპალების მიზიდვა შეიძლება მხოლოდ გამგეობის ნებართვით და სხვაგვარის განაწილებითაც ისე კი, რომ ლიანდაგის დაგების დროს შპალების ნაკლებულება არ იყოს.

შპალების დამზადება-ჩაბარება შეიძლება ერთს მიენდოს ან რამდენიმე მოიჯარადრეს, თუმცა ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 10,000 ცალისა.

ვ ა დ ა. პირობების განხილვის დღეს, მეტოქე მოიჯარადრეებმა გამგეობის კასაში უნდა წარმოადგინონ 5 პროც. საიჯარო საქმის ღირებულებისა, რომელიც შეივსება თანდთან 10 პროც. გამოკლებით უკვე ჩაბარებულ საიჯარო მასალის ღირებულებისა, ვიდრე სათავდებო თანხა მთელ საიჯარო საქმის ღირებულების 15 პროც. არ შეადგენს. ეს სათავდებო თანხა 15 პროც. საბოლოოანგარიშის გასწორების დროს დაუბრუნდებათ.

იჯარის ამღებთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ, თუ რა ფასად სთანხმდებიან შპალებისა თუ სატელეგრაფო სვეტების დამზადება-ჩაბარებას, რომელ ადგილას და სად ჩააბარეენ. ასეთი განცხადებანი უნდა წარმოადგინონ დაბეჭდილის კონვერტებით არა უგვიანეს **15 მაისისა**, დილის 11 საათზე ზედ წარწერით: „შპალებსა და სვეტების სამეტოქოდ“.

(3—1237—2)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება უცხო ენიდან ნათარგმნი წიგნები:

აივენგო. ვოლტერ სკოტი. ფ.	—1.	კ.
ათი მოთხრობა. ნათ. ზურ.	0	„
ამბავი და მოთხრობანი. ნათ. ი. მაჭავ.	0	„
აზიის მნათობი. ინდ. თქმულება.	0	„
ადამიანის ცხოვრება. ნათ. ზურ.	0	„
აღდგომა. ტოლსტ.	1—	
ასის წლის შემდეგ.	1—	
ბავშვის მოვლა. ნათ. ვას. მაჩ.	40	„
ბარტყ ძლევა მოსილი. სენკ.	20	„
გლეხი კაცის ისტორია.	2—50	„
გლეხი კაცი. პოლენცოსი.	1—	
დონ-კიხოტი. ნათ. ნ. ავალ.	2—	
დონ-კიხოტი. შემ. ნათ. დ. ყიფ.	25	„
დაკარგული სამოთხე.	40	„
დემონი. გურიელის ნათ.	10	„
ვაი ჭკუისაგან. ნათ. განდ.	35	„
ზვიმა. ქინაქინის ამბავი	10	„
თხუზულებანი პუშკინისა.	50	„
იუდა. ლექსი ნადსონისა. ნათ. ი. ფერ.	5	„
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა.	50	„
კაიაფის ვაჟიშვილი. ნათ. ყუბ.	50	„
ლედი ჯენ. ჯემისონისა.	35	„
მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე-მეფე, მედია.	50	„
მარსელიელნი. ნათ. ელ. ანტ.	25	„
მაკბეტი. ივ. მაჩაბლ. ნათ.	40	„
მეუფება წყვდიადისა ლ. ტოლს.	40	„
მაზეპა.	20	„
მოლიერი.	50	„
ნაძირალნი, გორკ.	25	„
ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან	25	„
ორი ეტიუდი. რუბაკინი.	20	„
ოქროს მოყვარულნი.	15	„
რამას განდევნა. ნათ. ალ. სარაჯ.	40	„
რომანიდან „93 წელი“. ჰიუგოსი	20	„
სპარტაკი.	60	„
შავი სპარტაკი.	40	„
ცეცხლითა და მახვილითა. ნათ. გ. ყიფშ.	1—60	„

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.38)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.